

შპს ტოპ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	7
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. ძირითადი საშუალებები	12
7. გაცემული სესხები	13
8. გამოუმუშავებელი შემოსავალი	13
9. სესხები	14
10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	14
11. შემოსავალი მომსახურებიდან.....	14
12. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი.....	15
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
14. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	15
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18 (გადაანგარიშებული)	31-12-17 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	755,519	645,997	1,482,905
სავაჭრო მოთხოვნები	5	440,537	289,163	415,458
გადახდილი ავანსები		4,901	94,090	1,173
სხვა მიმდინარე აქტივები		14,516	84	2,689
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,215,473	1,029,334	1,902,225
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	227,429	219,654	265,226
გაცემული სესხები	7	389,119	1,173,982	211,829
ინვესტიციები		12,520	12,520	12,520
სულ გრძელვადიანი აქტივები		629,068	1,406,156	489,575
სულ აქტივები		1,844,541	2,435,490	2,391,800
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		63,311	67,465	304,500
გამოუმუშავებელი	8	209,612	330,148	418,414
შემოსავალი				
სესხები	9	-	911,317	-
სხვა მოკლევადიანი	10	146,174	125,526	271,008
ვალდებულებები		419,097	1,434,456	993,922
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,383,467	965,309	1,352,438
არასაკონტროლო პაკეტი		41,977	35,725	45,440
სულ საკუთარი კაპიტალი		1,425,444	1,001,034	1,397,878
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,844,541	2,435,490	2,391,800

აღმასრულებელი დირექტორი -----

ვახტანგ ვახტანგიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი მომსახურებიდან	11	6,192,828	4,465,566
მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	12	(1,474,945)	(1,141,811)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(940,371)	(623,602)
ხელფასები და სხვა სარგებელი	14	(3,289,575)	(2,957,860)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	6	(92,427)	(83,844)
სხვა შემოსავლები		75,445	45,385
სხვა ხარჯები		(90,287)	(76,906)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		380,668	(373,072)
საპროცენტო შემოსავალი		86,395	64,973
საპროცენტო ხარჯი		(34,445)	(32,307)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(1,366)	(1,998)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		431,252	(342,404)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი), საიდანაც:		431,252	(342,404)
მშობელი საწარმოს მფლობელთა წილი		425,000	(332,689)
არამაკონტროლებელი წილი		6,252	(9,715)

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	არასაკონტროლო პაკეტი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი	1,352,438	45,440	1,397,878
(გადაანგარიშებული)			
წმინდა ზარალი	(332,689)	(9,715)	(342,404)
გაცემული დივიდენდი	(54,440)	-	(54,440)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	965,309	35,725	1,001,034
(გადაანგარიშებული)			
წმინდა მოგება	425,000	6,252	431,252
გაცემული დივიდენდი	(6,842)	-	(6,842)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	1,383,467	41,977	1,425,444

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		431,252	(342,404)
კორექტირებები:			
საპროცენტო შემოსავალი		(86,395)	(64,973)
საპროცენტო ხარჯი		34,445	32,307
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		1,366	1,998
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		92,427	83,844
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(151,374)	126,295
ცვლილება გადახდილ ავანსებში		89,189	(92,917)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		(14,432)	2,605
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		(4,154)	(237,035)
ცვლილება გამოუმუშავებელ შემოსავლებში		(120,536)	(88,266)
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		20,648	(145,482)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		292,436	(724,028)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(100,202)	(38,272)
მიღებული პროცენტი გაცემულ სესხებზე		80,578	-
გაცემული სესხების დაფარვა		790,680	-
სესხის გაცემა		-	(896,980)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		771,056	(935,252)
ფინანსური საქმიანობა			
პროცენტის გადახდა		(34,445)	(32,307)
სესხის აღება		-	934,571
სესხის დაფარვა		(912,683)	(25,452)
დივიდენდის გაცემა		(6,842)	(54,440)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(953,970)	822,372
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	4	109,522	(836,908)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4	645,997	1,482,905
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	755,519	645,997

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტოპ გრუპი დაფუძნდა 2008 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა N4. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 205249667. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ლევან ლევსვერიძე (ს/კ 01024051720) – 25%

ირაკლი თევზაძე (ს/კ 01024051406)- 25%

ვახტანგ ვახტანგიშვილი (ს/კ 01019017614)-25%

გიორგი ბურჭულაძე (ს/კ 01008033349)- 25%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო საქმიანობა, სოციალური მედიის მართვა, მარკეტინგული კამპანიების შექმნა, აპლიკაციების გაყიდვა და სხვადასხვა ტრენინგების ჩატარება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი - ვახტანგ ვახტანგიშვილი და გენერალური დირექტორი - გიორგი ბურჭულაძე, რომლებიც ფლობენ კომპანიის 25%-25% წილებს.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილებს, მეკავშირე საწარმოებსა და ინვესტიციებს:

შვილობილი	31.12.2019 მფლობელობა	ყიდვის/დაარსების წელი
შპს ლივინგსტონ ლაბ	80%	2014
შპს არეალი ინქ	80%	2015

მეკავშირე საწარმო	31.12.2019 მფლობელობა	ყიდვის/დაარსების წელი
შპს ნებულა	40%	2015

ინვესტიციები	31.12.2019 მფლობელობა	ყიდვის/დაარსების წელი
LUCKSTOCK INC	4.05%	2017

აღსანიშნავია რომ მეკავშირე საწარმოს ჰქონდა აკუმულირებული ზარალი 2019, 2018 და 2017 წლებში. შესაბამისად, ფასს-ის თანახმად, იგი აღრიცხულია ნულოვანი საბალანსო ღირებულებით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2019 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი.

გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

შპს ტოპ გრუპი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-18	31-12-17
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	639,225	1,482,887
სავაჭრო მოთხოვნები	349,995	412,688
გადახდილი ავანსები	103,298	6,176
სხვა მიმდინარე აქტივები	1,161,691	179,874
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,254,209	2,081,625
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	199,596	277,630
ინვესტიციები	13,383	12,961
სულ გრძელვადიანი აქტივები	212,979	290,591
მთლიანი აქტივები	2,467,188	2,372,216
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	61,077	301,528
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	541,409	693,652
სესხები	911,317	-
სულ ვალდებულებები	1,513,803	995,180
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	953,385	1,377,036
სულ საკუთარი კაპიტალი	953,385	1,377,036
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	2,467,188	2,372,216

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-18
შემოსავალი მომსახურებიდან	4,429,915
მომსახურების თვითღირებულება	(1,194,758)
საერთო მოგება	3,235,157
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,622,735)
საოპერაციო მოგება	(387,578)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	18,067
ზარალი დაზეგვრამდე	(369,511)
მოგების გადასახადი	-
ზარალი წლის განმავლობაში	(369,511)

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ახორციელებს მომსახურების ექსპორტს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	2019 წლის 31 დეკემბერი
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	2018 წლის 31 დეკემბერი

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ

ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “წავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, საკონსულტაციო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული საღაროში.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-19	31-12-18
ფული საღაროში	834	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	754,685	645,997
სულ	755,519	645,997

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯამში ჯგუფს გააჩნდა 100-ზე მეტი დებიტორი 2019 წლის ბოლოს.

6. ძირითადი საშუალებები

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	55,716	25,526	81,242
ოფისის აღჭურვილობა	351,012	69,535	420,547
ავეჯი და სხვა ინვენტარი	42,158	5,141	47,299
სულ	448,886	100,202	549,088

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	19,728	5,878	25,606
ოფისის აღჭურვილობა	190,122	78,877	268,999
ავეჯი და სხვა ინვენტარი	19,382	7,672	27,054
სულ	229,232	92,427	321,659

2018 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	55,305	411	55,716
ოფისის აღჭურვილობა	320,410	30,602	351,012
ავეჯი და სხვა ინვენტარი	34,899	7,259	42,158
სულ	410,614	38,272	448,886

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	13,852	5,876	19,728
ოფისის აღჭურვილობა	118,890	71,232	190,122
ავეჯი და სხვა ინვენტარი	12,646	6,736	19,382
სულ	145,388	83,844	229,232

7. გაცემული სესხები

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გაცემული სესხები	31-12-19	31-12-18
შპს ნებულა	370,956	328,257
შპს რაც არ უნდა მოხდეს	18,163	8,618
შპს ნოვუს დეველოპმენტი	-	837,107
სულ	389,119	1,173,982

2019 წელს, შპს ნოვუს დეველოპმენტმა, მოახდინა მასზე გაცემული სესხის ძირი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრულად დაფარვა.

8. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელი შემოსავალი შედგება კლიენტი კომპანიების მიერ მომსახურებისთვის ჩარიცხული ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების შემოსავალში აღიარება მოხდება მომსახურების გაწევის შემდგომ. ჯამში ჯგუფს ჰქონდა მიღებული ავანსი 15-ზე მეტი კლიენტი კომპანიისგან 2019 წლის ბოლოს.

9. სესხები

2018 წელს ტოპ გრუპს აღებული ჰქონდა სესხი თიბისი ბანკისგან. 2019 წელს კომპანიამ მოახდინა აღნიშნული სესხის ძირი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის სრულად დაფარვა.

10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31-12-19	31-12-18
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	78,729	101,162
საგადასახადო ვალდებულებები	66,509	24,364
საპენსიო ვალდებულება	936	-
სულ	146,174	125,526

11. შემოსავალი მომსახურებიდან

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი წყაროები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- მარკეტინგული საქმიანობა
- სასტუმროების მართვის ონლაინ პლატფორმა
- ტრენინგები და საგანმანათლებლო ღონისძიებები

შემოსავლების კატეგორიებად ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი მომსახურებიდან	31-12-19	31-12-18
მარკეტინგული საქმიანობა	5,914,658	4,212,747
ტრენინგები და საგანმანათლებლო ღონისძიებები	194,351	246,243
სასტუმროების მართვის ონლაინ პლატფორმა	83,819	6,576
სულ	6,192,828	4,465,566

12. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი

საკუთარი მომსახურების გაწევისას, რიგ შემთხვევებში, ტოპ გრუპი სარგებლობს მესამე მხარის მომსახურებებით. კერძოდ, კომპანია ახდენს სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვას, როგორც იურიდიული ასევე, ფიზიკური პირებისგან. გარდა ამისა, განხორციელებული პროექტების ფარგლებში, კომპანიას უწევს მასალების შეძენა და უტილიზაცია.

ამ დანახარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	31-12-19	31-12-18
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	1,393,440	1,123,916
მასალების დანახარჯი	81,505	17,895
სულ	1,474,945	1,141,811

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-19	31-12-18
საკონსულტაციო ხარჯი	366,465	85,643
საოფისე ხარჯები	147,220	154,085
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	103,288	91,820
მივლინების ხარჯები	54,304	30,253
დაზღვევის ხარჯი	36,198	48,230
სამიგბო სისტემის მომსახურების ხარჯი	25,883	58,579
იჯარის ხარჯი	22,493	11,116
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯი	21,290	8,141
საბანკო ხარჯი	17,295	9,038
წარმომადგენლობითი ხარჯი	15,053	16,386
სხვა	130,882	110,311
სულ	940,371	623,602

14. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-19	31-12-18
სახელფასო ხარჯი	3,138,644	2,799,404
ბონუსები და პრემიები	72,120	158,456
პენსია და სხვა სარგებელი	78,811	-
სულ	3,289,575	2,957,860

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 გაცემული სესხები

2019 წლის ბოლოსა და 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით ჯგუფს გაცემული ჰქონდა შემდეგი სესხები დაკავშირებულ მხარეებზე:

გაცემული სესხები	31-12-19	31-12-18
შპს ნებულა	370,956	328,257
შპს რაც არ უნდა მოხდეს	18,163	8,618
შპს ნოვუს დეველოპმენტი	-	837,107
სულ	389,119	1,173,982

15.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2019 და 2018 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 450,843 ლარი და 428,704 ლარი შესაბამისად.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19-ით გამოწვეული გლობალური კრიზისის გამო, მარტის მეორე ნახევარში საქართველოში გამოცხადდა ე.წ. ლოქდაუნი, რამაც მრავალი ბიზნესის საქმიანობის შეჩერება და/ან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა განაპირობა. ლოქდაუნმა ორი თვე გასტანა. აღნიშნულის გამო, კომპანიას შეუმცირდა რეალიზაცია. თუმცა ამ ანგარიშგების თარიღისთვის ლოქდაუნი მოხსნილია და კომპანია სრული დატვირთვით ფუნქციონირებს.